

ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის #65 დადგენილებით და განისაზღვრა 5300,4 ათასი ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველი იყო 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის განაწილება.

კერძოდ, 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2 098 668,18 (ორი მილიონ ოთხმოცდათვრამეტი ათას ექვსას სამოცდარვა ლარი და 18 თეთრი) საიდანაც 84351,55 ლარი ბანკის ანგარიშზე არსებული ნაშთია, ხოლო 2014316,63 ლარი მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე განთავსებული ნაშთი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2 530 525 ლარი, რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახა გრანტებში, ხოლო ხარჯებში გადანაწილდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვაზე, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოებზე და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებებზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მესამე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 მარტის #607 განკარგულება, რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება საქართველოს მთავრობის 2017 ქლის 6 ივლისის #1394 განკარგულების საფუძველზე დარჩენილი თანხის ნაწილი, 121 161 ლარი მიმართოს ცაგერის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების საფუძველი გახლავთ საქართველოს 2018 წლის 3 მაისის #955 განკარგულება, რის საფუძველზეც მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩხუტელში ლაჯანუჭესის სათავე-ნაგებობიდან გვირაბამდე ასფალტირების სამუშაოებისათვის გამოეყო 475 344 ლარი, რომელიც შემოსულობებში აისახა გრანტებში, ხოლო გადასახდელები- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეხუთე ცვლილების საფუძველი იყო თავისუფალი ნაშთის ნაწილობრივი განაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 10 373 ,1 ათას ლარს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა შეადგენს 4 236,6 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსულია 3 787,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 89,4 %, მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 154,3 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 540,9 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 350,5%-ით, საშემოსავლო გადასახადის გეგმა იყო 57,4 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 106,5 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 185,6 %-ით.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 3 965,2 ათ.ლარს. ფაქტიურად შემოსულია 3 093,7 ათ.ლარი, ანუ გეგმის 78,0%, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერის

გეგმა იყო 2 296,2 ათ.ლარი. ფაქტიურად შემოსულია 2 296,2 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 100,0%-ით. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. გეგმა იყო 79,0 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 79,2 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 100,3%-ით. კაპიტალურად ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 1590,0 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 718,3 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 45,2%-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 59,7 ათ.ლარით, ფაქტიურად შემოსულია 46,6 ათ.ლარი გეგმა შესრულდა 78,0%-ით,მათ შორის: პროცენტები უნდა შემოსულიყო 3,5 ათ.ლარი. ფაქტიურად შემოსულია 0,7 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 21,1 %-ით ,მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით 21,5 ათ ლარი, გეგმა შესრულდა 176,3 %-ით.ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 1,5 ათ.ლარი ფაქტიურად შემოსულია 2,2 ათ.ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 145,5 %-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 7,0 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 9,5 ათ ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 136,3%-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 33,0 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 8,2 ათ.ლარი ანუ გეგმის 24,8%.

პრობლემაა სანქციებით და საურავებით მიღებულ შემოსავლებში. გეგმა არის 30,0 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 8,2 ათ ლარი. საჭიროა დაგეგმვის დროს იყოს მეტი ყურადღება.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავლის გეგმა შესრულდა 124,4%-ით. (გეგმა 18,0 ათ.ლარი, ფაქტი 22,4 ათ.ლარი)

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 337,3 ათ.ლარი, დაიხარჯა 310,3 ათ.ლარი. ათვისებული იქნა 92,0%. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 734,9 ათ.ლარი, დაიხარჯა 631,3 ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 85,9%-ით.

თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 85,6%, (გეგმა-35,8 ათ.ლარი, ფაქტი-30,6 ათ. ლარი)

პირველ კვარტალში როგორც ვიცით ინფრასტრუქტურა მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლუატაციაზე 1,604,737 ლარის ნაცვლად დაფინანსდა 353,811 ლარით ანუ 1251 ათ.ლარი ნაკლები დაიხარჯა ე.ი 22% , ხოლო მეორე კვარტლის მონაცემებით ინფრასტრუქტურა უნდა დაფინანსებულიყო 3,604,8 ათ.ლარით, დაფინანსდა 1,480,7 ათ.ლარით. აღნიშნული

მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ინფრასტრუქტურული ობიექტების უმრავლესობა დაუმთავრებელია და შესრულების დაბალი მაჩვენებელია.

ინფრასტრუქტურული მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 3608,8 ათ. ლარით და დაფინანსდა 1480,7 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 1480,7 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 63,6 ათ.ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 429,3 ათ.ლარით. ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 16,1 ათ.ლარით, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების გეგმა იყო 195,0 ათ.ლარით, ფაქტიური ხარჯია 4,9 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 2,5%-ით, კომუნალური მომსახურება დაფინანსდა 87,7 ათ.ლარით, ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“ დაფინანსდა 99,7 ათ.ლარით, ორგანიზაციებთან ერთად დაფინანსდა ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 46,2 ათ.ლარით.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 98,3%-ით (გეგმა-322,0 ათ.ლარი, ფაქტი-316,4 ათ.ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 98,2%-ით (გეგმა-294,3 ათ.ლარი, ფაქტიური-289,1 ათ.ლარი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 98,5 %-ით(გეგმა-27,7 ათ.ლარი, ფაქტიური- 27,3% ათ.ლარი).

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 624,3 ათ. ლარით, მათ შორის-: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 90,1%-ით, (გეგმა 96,2 ათ.ლარი,ფაქტი 39,8 ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ დაფინანსდა 91,1%-ით, (გეგმა 43,6 ათ.ლარი, ფაქტი 39,8ათ.ლარი), ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 96,5 %-ით (გეგმა 50,2 ათ.ლარი, ფაქტი 48,4 ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 89,5%-ით, (გეგმა 139,3 ათ.ლარი, ფაქტი 124,7 ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 89,5%-ით, (გეგმა 139,3 ათ.ლარი ფაქტი 124,7 ათ.ლარი) . მუზეუმი დაფინანსდა 89,4%-ით (გეგმა 35,1 ათ.ლარი, ფაქტი 31,4 ათ.ლარი) .სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 80,8%-ით(გეგმა 28,4 ათ.ლარი, ფაქტი 22,9 ათ.ლარი), ბიბლიოთეკები დაფინანსდა 97,9%-ით, (გეგმა 71,5 ათ.ლარი, ფაქტიური- 70,02ათ.ლარი), კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (წმ.მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები და ლადობა) დაფინანსდა 15,8 ათ.ლარით, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 11,3 ათ.ლარით, ა (ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი დაფინანსდა 99,9 %-ით (გეგმა 12,5 ათ.ლარი, ფაქტი 12,5 ათ.ლარი). ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 69,9%-ით, (გეგმა 34,7 ათ.ლარი, ფაქტი 24,2 ათ.ლარი), ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 99,5-ით, (გეგმა 38,5 ათ.ლარი ფაქტი 38,3 ათ.ლარი) , ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 29,2 ათ.ლარი, ფაქტი 29,2 ათ.ლარი) .

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 91,3%-ით (გეგმა 230,5 ათ.ლარი, ფაქტი-210,5 ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვისა მომსახურება დაფინანსდა 95,5%-ით (გეგმა 48,5ათ.ლარი, ფაქტი 46,3ათ.ლარი), ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 96,0%-ით (გეგმა 128,4ათ.ლარი, ფაქტი 123,3ათ .ლარი). უფასო სასადილოები დაფინანსდა 77,3 %-ით (გეგმა 52,3 ათ.ლარი, ფაქტი 40,4 ათ.ლარი).